

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მინისტრის აპარატი



2015 წლის ანგარიში სრულად

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ა/რ აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების (სფეროში) ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრები, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე წელს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

ურთიერთობა საქართველოს ფედერალურ უწყებებთან და ჩართულობა 2015 წლის გამოწვევების განხორციელებაში

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები იმ უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მინისტრის აპარატის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობასთან.

კერძოდ,

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საელჩო იტალიაში აქტიურად იყო ჩართული ინტერკულტურული დიალოგის პროექტში ფლორენციაში, რომელიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის და აფხაზეთის მთავრობის მიერ იყო ორგანიზებული.
(პროექტის შესახებ იხ. განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი).

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან. აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო დიასპორული დღისადმი (27 მაისი, 2015) მიძღვნილ ღონისძიებაში, კერძოდ, პირველ დიასპორულ ფორუმში „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“.
- აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი (მინისტრი დავით გვამაზია), ასევე, მონაწილეობს დიასპორებთან ურთიერთობის სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობაში სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად.
- აქტიური მუშაობა მიმდინარეობს იმერეთის რეგიონთან, რომელიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში სამშვიდობო რესურსების მობილიზებას და ამ საკითხის პოპულარიზაციას ეხება. აღნიშნული პროექტი გრძელვადიანია.
- **(პროექტის შესახებ იხ. განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი).**
- საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა, ასევე, პროგრამა, აჭარის რეგიონის სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასთან დაკავშირებით, ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსების მოძიებასთან მიმართებაში აღნიშნულ რეგიონში.
- საქმიანი ურთიერთობები დამყარდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული გამოფენის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-აფხაზეთი“ მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაში, რომელიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის ორგანიზებითა და რომულდო დელ ბიანკოს ფონდის მხარდაჭერით გაიმართა ფლორენციაში, მიმდინარე წლის ოქტომბერში.
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი აფხაზეთისა ა/რ და აჭარის ა/რ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდა „აფხაზეთობის“ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომლებიც განხორციელდა ბათუმში 2015 წლის 26-27 მაისს.

ამასთანავე, ბათუმში შედგა შეხვედრები არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ქართულ-აფხაზური კუთხით და ამ მიმართულებით დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება.

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისში, აფხაზეთის ა/რ მთავრობის სსიპ „ბიზნეს ინკუბატორის“ დაქვემდებარებაში არსებული შენობებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობაში.
- აფხაზეთის ტელევიზიით, სატელევიზიო გადაცემა „ობიექტივისა“ და საპარტიარქოს ტელევიზიით „ერთსულოვნება“ პერიოდულად შუქდებოდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მიერ მომზადებული საკითხები შემდეგ თემებზე:
 - მუჰაჯირობა
 - კომანის ტრაგედია
 - ქართულ-აფხაზური ურთიერთობები
 - ნდობის აღდგენისა და შერიგების გზები
- მინისტრის აპარატი აქტიურად უჭერდა მხარს და უშუალოდ იყო ჩართული აფხაზი მოზარდების ტექნიკური საკითხებით უზრუნველყოფასა და ჯანმრთელობის ხელშემწყობი მიმართულებით მიმდინარე აქტივობებში. შესაბამისად, პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სოხუმთან.
- „აფხაზეთობის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის მინისტრის აპარატმა უზრუნველყო თემატური თვალსაჩინო მასალების (სტენდების) დამზადება.
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი თანამშრომლობს ბერკოფის ფონდთან, რომელიც მუშაობს კონფლიქტებზე და რომელსაც აფინანსებს გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროები. ამ ფონდში თავმოყრილია მრავალრიცხოვანი და საინტერესო მასალა და იგი მზად არის გაუზიაროს ეს მასალა აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. დაგეგმილია ბერკოფის ფონდთან ერთად მრგვალი მაგიდის ჩატარება.
- ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში შექმნილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სათათბირო ორგანო - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათაშორისი საბჭო, რომლის თათბირებზე განხილული იქნა სხვადასხვა აქტუალური საკითხი. მათ შორის:
 - აჭარაში მცხოვრები მოქალაქეების კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ჩართვისა და მათი რესურსების ამოქმედების შესახებ კონცეფციისათვის წინადადებების მომზადება.

- აჭარაში მცხოვრები აფხაზების რესურსის გამოყენება შერიგებისა და ნდობის აღდგენის საქმეში. იმ ფართო კავშირების გამოყენება, რომლებიც მათ აქვთ როგორც აფხაზეთში, ასევე, რუსეთში, თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში.
- ოკუპირებული ტერიტორიებთან მიმართებაში საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში პროექტების შემუშავება; მათ განსახორციელებლად, უფრო რაციონალური და ოპტიმალური მოქმედების მოდელის შექმნის მიზნით, წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების წინადადებების შემუშავება, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების ერთობლივი პროექტების შექმნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მცხოვრები 8000-მდე აფხაზი მუჰაჯირის შთამომავლების რესურსის აქტიური ჩართვა;

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელნიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის დებულებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს.

კერძოდ:

- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია - ედუკატორი (პოლონეთი, ვარშავა)
- დელ ბიანკოს ფონდი (იტალია, ქალაქი ფლორენცია)
- იტალიური ორგანიზაცია „ლიბელულა“(იტალია ქალაქი პალერმო)
- იტალიური ორგანიზაცია „პრომეთეო“ (იტალია, ქალაქი პალერმო)
- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“
- ჰაინრიხ ბიოლის ფონდი
- საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ებერტის ფონდი
- საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“
- კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი“
- კავკასიური სახლი

- ცხუმ-აფხაზეთის აკადემია
- ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი
- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი
- საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლობა
- სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რეგიონალური ოფისი
- გაეროს ფონდები (UNICEF, UN WOMEN, UNDP)
- გაეროს სპეციალური საკონსულტაციო სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია - „მსოფლიო მშვიდობის ფედერაცია“
- კონრად ადენაუერის ფონდი
- ბერგჰოფის ფონდი
- უკრაინის საელჩო საქართველოში
- აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში
- დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩო საქართველოში
- ევროკავშირის წარმომადგენლოდა საქართველოში
- მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, საქართველოს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა

განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სტრატეგიის ნაწილია სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, ტოლერანტობის უნარ-ჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, წიგნიერების დონის ამაღლებას, წიგნიერების სტრატეგიების დაუფლებასა და დანერგვას პრაქტიკაში სამშვიდობო განათლებით, ქართული და აფხაზური საზოგადოებების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

1. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო სამეცნიერო წრეების პოტენციალის გამოყენება ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსების გამოვლენისა და მათი პროცესებში ჩართვის მიმართულებით. კერძოდ, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ცხუმ-აფხაზეთის აკადემიასთან (ხელმძღვანელი ოთარ ჟორდანიას), აკადემიასთან არსებულ საერთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით (რექტორი ვახტანგ თორდია) შეიქმნა საგანმანათლებლო მოდულები, რომელსაც განახორციელებს პარტნიორული მოდელით აფხაზეთის ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი და ცხუმ-აფხაზეთის აკადემია. საგანმანათლებლო პრაქტიკულ ტრენინგ-მოდულებზე იმუშავეს მეცნიერებმა, რომელთაც ამ მიმართულებით დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. ჩამოყალიბდა ერთობლივი სასწავლო ცენტრი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობას, რომელნიც დაინტერესებულნი არიან პოლიტიკური მეცნიერებებით და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობით საქართველოში და მსოფლიოში.

საგანმანათლებლო მოდულები ხელს უწყობს ისეთი თემების წინ წამოწევას და პრაქტიკაში დანერგვას როგორცაა:

- საჯარო გამოსვლის ხელოვნება;
- დებატების ხელოვნება;
- ლიდერობა;
- ფანდრაიზინგი (ფონდების მოძიება, ურთიერთობა დონორებთან);
- მოლაპარაკებების ხელოვნება და მედიაცია;
- ადვოკატირება;
- პროექტების წერა და მენეჯმენტი;
- გენდერი და ადამიანის უფლებები;
- ჟენევის ფორმატის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში;

აღნიშნული პროგრამების პილოტირების შემდეგ მოხდება მათი მომზადება ოფიციალურად სახელმწიფო აკრედიტაციის მისაღებად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მომზადდა კურიკულუმი, რომელიც ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებზე ახალგაზრდების და, ასევე, ამ საკითხებით დაინტერესებული ადამიანების მეცნიერულ დონეზე მომზადებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მიღებული უნარ-ჩვევები კი დაეხმარება პროცესებს, რომელიც სამშვიდობო მიმართულებით უნდა განხორციელდეს და ქვეყნის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

გარდა ამისა მიმდინარეობს მოლაპარაკებები იტალიის დიპლომატიის და პოლიტიკის აკადემიასთან, რათა მოხდეს პოლიტიკური კარიერის მქონე დევნილი ახალგაზრდების სტაჟირება ზემოთხსენებულ უნივერსიტეტში.

მოდრაობა „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ ერთობლივად განხორციელდა პროექტი „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“, რომელიც სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში მიმდინარეობდა (დეკემბერი 2014 - მარტი 2015).

პროექტის - „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში 700-მდე დევნილ ოჯახს საშობაო ნობათი გადაეცა. პროექტი ემსახურებოდა შემდეგ მიზნებს:

- საქართველოში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება
- მოხალისეობრივი კულტურის ხელშეწყობა საქართველოში
- ნდობის აღდგენა და ერთმანეთის თანადგომა

პროექტის ორგანიზებაში ჩართული იყო კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნეს-ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები და სასწავლო დაწესებულებები.

პროექტი საინტერესო იყო იმიტაც, რომ მასში აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა უწყების თანამშრომელი.

მოდრაობის ფარგლებში, 5 დეკემბრიდან მიმდინარეობდა სურსათ-სანოვარისა და აუცილებელი პირველადი საშუალებების შეგროვება. აქციის ფარგლებში შემოსული პროდუქტები დაურიგდათ II მსოფლიო ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს, აფხაზეთის ომის I ჯგუფის ინვალიდებს, არასრულწლოვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებს, მარტოხელა დედებსა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა მშობლებს.

მოდრაობის ფარგლებში მოხალისეებად მუშაობენ აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და სტუდენტები.

მოსახლეობისთვის საშობაო ნობათის გაცემა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში გაიმართა.

აქციის შემდეგ, მოძრაობაში „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ აქტიური ჩართულობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ყველა ორგანიზაცია და ინდივიდუალური მონაწილე

დააჯილდოვა. კავკასიის ახალგაზრდულმა ალიანსმა კი პროექტში ჩართულ ყველა მოხალისეს სერთიფიკატები გადასცა.

„აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის საქართველოს რეგიონებში“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით იმერეთის რეგიონში, კერძოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პროექტის „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში აფხაზეთის დღე აღინიშნა. გაიმართა სამუშაო შეხვედრები და კულტურული ღონისძიებები.

აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულ ოჯახის წევრებს და გვირგვინით შეამკეს დაღუპულთა მემორიალი. ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრა რაიონის ხელმძღვანელობასთან. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მე-2 საჯარო სკოლაში მოეწყო შემოქმედებითი საღამო.

აფხაზეთის მოზარდმაყურებელთა თეატრმა „თეთრი ტალღა“ გამართა სპექტაკლი „გამარჯობა სოხუმო“. თეატრის ფოიეში მოეწყო ფოტო-გამოფენა „მოგზაურობა აფხაზეთში“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ელისო ჩაფიძე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ხარაგაულის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, იმერეთის ვიცე-გუბერნატორი სოსო ხახალიაშვილი და იმერეთის მუნიციპალიტეტის თვითმართველობის ხელმძღვანელობა.

პროექტის მხარდამჭერები და ორგანოზატორები იყვნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი და ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა.

„სამშვიდობო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატმა, აფხაზეთის მთავრობამ და იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო ორგანიზაციამ „აფხაზეთი“ სამშვიდობო რესურსების მობილიზების კუთხით, წამოიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია, რომლის ფარგლებშიც ერთობლივად განახორციელეს ზემოთაღნიშნული პროექტი - „სამშვიდობო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ .

პროექტის ფარგლებში საზოგადოების წინაშე ქართული ცეკვებითა და ხალხური სიმღერების ერთსაათიანი პროგრამით წარსდგა მარტვილის #2 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „აფსნი“, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები არიან გაერთიანებულნი. სცენაზე 100-მდე ახალგაზრდა შემსრულებელი ცეკვავდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლმა 2014 წელს მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე, სადაც ორი გრანპრი აიღო. ფესტივალზე 35 ქვეყანა იყო წარმოდგენილი.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი შემოქმედებითი გუნდი აუცილებლად უნდა იქნეს ჩართული მშვიდობის, ნდობის აღდგენის და სახალხო დიპლომატიის პროცესში.

ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები (იტალია -ქალაქი ფლორენცია), ინტერკულტურული დიალოგი მშვიდობისათვის

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატის, აფხაზეთის მთავრობის და ფლორენციაში დელ ბიანკოს ფონდის ორგანიზებით 12-16 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია „რომუალდო დელ ბიანკოს“ ფონდის მიწვევით ფლორენციაში იმყოფებოდა. დელეგაციაში შედიოდნენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის პირველი მოადგილე ბელა კოპალიანი და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლეილა ხუბაშვილი.

დელეგაციის წარმომადგენლებმა 21 ქვეყანასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი“-ის ორგანიზებით გამართულ ყოველწლიურ ფონდის ექსპერტთა მე-17 საერთაშორისო ასამბლეის მუშაობაში, რომელიც „ინტერკულტურული დიალოგს მიეძღვნა“. ასამბლეას მუშაობაში 21 ქვეყანა იყო ჩართული.

აფხაზეთის მთავრობასა და „დელ ბიანკოს ფონდს“ შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ინტერკულტურული დიალოგისათვის ხელშეწყობას და მასში ხელმძღვანელი მხარეების აქტიურ თანამშრომლობას და ჩართულობას.

დელეგაციის მიერ ასამბლეაზე გაჟღერდა იმ წინადადების შესახებ, რომელიც ფლორენციაში, ფონდთან ერთად საერთაშორისო, ინტერდისციპლინარული სტუდენტური ვორქშოპის ჩატარებას ითვალისწინებს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, აფხაზი, ოსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი ახალგაზრდები და შესაბამისად, უნივერსიტეტების პროფესორები.

დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ექსპერტთა მრგვალი მაგიდის ფარგლებში დაგეგმილ პრესკონფერენციაში, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა ფლორენციის ინტეგრაციის ასესორთან სარა ფურანოსთან, რომელმაც აფხაზეთის მთავრობის წევრებს გაუზიარა იტალიის გამოცდილება ინტეგრაციის საკითხებში და დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა.

გაიმართა შეხვედრა ფლორენციის ქართულ დიასპორასთან და ფლორენციის წმინდა ნინოს სამრევლოსთან, რომელსაც ესწრებოდნენ იტალიის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებიც. აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ მათ ღვთისმშობლის ხატი და სანთლები გადასცა.

„რომუალო დელ ბიანკოს ფონდი“-ს მიერ ორგანიზებულ გამოსამშვიდობებელ საზეიმო ვახშამზე მოეწყო სიმბოლური ქართულ - აფხაზური სამზარეულოს პრეზენტაცია.

ვიზიტის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საელჩო იტალიაში, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო.

აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა, მინიკონფერენცია „მუჰაჯირობა“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო „მუჰაჯირობის" დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, მინიკონფერენცია. მინისტრის აპარატთან ერთად აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებაში ჩართული იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: აფხაზეთის ა/რ მთავრობა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კონფლიქტებისა და

მშვიდობის ინსტიტუტი და ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“. ღონისძიებას უძღვებოდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო:

- უნიკალური ფოტომასალა, სადაც ასახულია ის მოვლენები, რომლებიც დიდი ტკივილის მომტანი იყო აფხაზეთისა და ქართველებისთვის;
- გაიმართა ქართულ-აფხაზური ფოლკლორული საღამო;
- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი ოთარ ჟორდანიას, პროფესორი, ისტორიკოსი ბეჟან ხორავა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე მანანა ანუა

„მუჰაჯირობის უკვდავსაყოფი მემორიალური დაფა (მემორიალური ქვა)“

აფხაზი და ქართველი ხალხის მიერ მუჰაჯირობის ხსოვნის უკვდავსაყოფად ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებულ იქნა პროექტი - „მუჰაჯირობის უკვდავსაყოფი მემორიალური დაფის (მემორიალური ქვის)“ დადგმა ქ. ბათუმის სანაპიროზე.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ბათუმში სანაპიროზე მემორიალური ქვის (მომავალში ამ ქვის ადგილას მემორიალი აღიმართება) საზეიმო ვითარებაში გახსნა;
- საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის მთავრობის წარმომადგენლების მიერ მემორიალის ქვის გვირგვინით შემკობა;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წარმომადგენლების, აჭარაში მოქმედი პოლიტიკური მოძრაობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აჭარაში მცხოვრები აფხაზების, მუჰაჯირების შთამომავლების სიტყვით გამოსვლა;
- 21 მაისი მუჰაჯირობის ხსოვნის დღედ გამოცხადება;
- ღონისძიების დასასრულს კატარღებიდან ზღვაში ანთებული სანთლებით შემკობილი გვირგვინების ჩაშვების ცერემონიალის ჩატარება.

პროექტის შესრულება იგეგმება მომავალ წელს შემდეგ ორგანიზაციებთან ერთად:

- აფხაზეთის ა/რ მთავრობა
- აჭარის ა/რ მთავრობა
- ბათუმის მერია
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აჭარაში მოქმედი საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები: „მმოზა“, „სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“, „აჭარელი აფხაზი ქალების ორგანიზაცია“

„ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები“

2015 წლის ივლისში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა - **„ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები“**.

მრგვალი მაგიდის ორგანიზებისთვის ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან, ცხუმ - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასა და ასოციაციასთან „მშვიდობა და განათლება“ ერთად განახორციელა **შემდეგი სამუშაოები:**

- ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმების კონცეფციის შემუშავება;
- მოწვეული სტუმრების, მომხსენებლების (სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების) განსაზღვრა და კოორდინირება;
- მომავალი პოლიტიკური კარიერის მქონე წარმატებული ახალგაზრდების შერჩევა და კოორდინირება;
- ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება (საკონფერენციო დარბაზი, სინქრონული თარგმანი, მოსაწვევები, ბანერები);
- დღის წესრიგის შემუშავება;

პროექტი ითვალისწინებდა:

- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურობის ანალიზს;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების გაცნობასა და გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრას;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის **„ახალგაზრდული სასწავლო ცენტრი“** პრეზენტაციას.

➤ სახელმწიფო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა ლიდერების ძალისხმევით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები.

წარმოდგენილი პროექტის მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- აფხაზეთის მთავრობის როლი და შესაძლებლობები კონფლიქტის მოგვარების პროცესში;
- კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო მექანიზმები (ჟენევის ფორმატი)
- ნდობის აღდგენის პროცესში აკადემიური საზოგადოების როლი და შესაძლებლობები;
- დიასპორების როლი ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის;
- არასამთავრობო სექტორის ინიციატივები და შესაძლებლობები;
- ახალგაზრდული ინიციატივების როლი და შესაძლებლობები.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებმა, აკადემიური და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. ღონისძიების მეთოდოლოგია ითვალისწინებდა პანელური დისკუსიის ელემენტებს. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები, რომელნიც დიპლომატიის კუთხით აგრძელებენ კარიერას და მოიაზრებიან როგორც სამშვიდობო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

აფხაზეთიდან დევნილი თემის მხარდაჭერის პროგრამა

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და კოორდინირებით პარტნიორი ამერიკული ორგანიზაციის „ჯორჯია ქონექშენი“ მიერ განხორციელდა დევნილთა მე-2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, ზემოთ ნახსენები ორგანიზაციის აკადემიური წრის წარმომადგენლებმა მასტერკლასები ჩაუტარეს აღნიშნული სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

„სასკოლო მზაობის ცენტრები, ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, პოლონური საგანმანათლებლო ორგანიზაციის „ედუკატორის“ და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტი „სკოლამდელი განათლების ცენტრები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის გამყოფი ხაზის მიმდებარე

სოფლებში“ ხორციელდება გალის რაიონის 4 სოფელში, წალენჯიხის რაიონის სასაზღვრო სოფლებში ზედა ეწერი და ჯვარი.

პროექტი მიმდინარეობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების ბაზაზე.

პროექტის ფარგლებში:

- სარემონტო სამუშაოები ჩატარდა იმ ბაზებში, სადაც სასკოლო მზაობის ცენტრები უნდა გახსნილიყო;
- აღნიშნული ცენტრები აღჭურვილ იქნა ავეჯით, ტექნიკით და მეთოდური სახელმძღვანელოებით;
- ცენტრებისათვის შეირჩენ დაუსაქმებელი მასწავლებლები და გადამზადდნენ შესაბამისი პროგრამით. შესაბამისად აღნიშნული მასწავლებლები ჩართულნი არიან საქართველოს განათლების სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში, როგორც სკოლამდელი განათლების ცენტრების სპეციალისტები (იგულისხმება დამატებითი განათლება);
- სკოლამდელი განათლების დაუსაქმებელ პედაგოგებს ეძლევათ ხელფასები;
- პროექტის განმავლობაში ისინი პერიოდულად გადიან გადამზადების კურსებს;
- პროექტის პარალელურად ყველა სკოლამდელი განათლების ცენტრის პატარას ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევები და საჭიროების შემთხვევაში მშობელს და დაინტერესებულ მხარეს მიეწოდა ინფორმაცია ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- აღნიშნულ პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი საზღვრის მიმდებარე სოფლების ის მშობლები, რომელთა შვილებიც დადიან ამ ცენტრებში;
- მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლები და თემი კმაყოფილებას გამოთქვამს ამ პროექტის მიმართ და აქვთ სურვილი გაგრძელდეს პროექტი;
- პროექტმა დააახლოვა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლამდელი განათლების მასწავლებლები, სკოლები და თემი, რომელიც ვფიქრობთ კარგი რესურსია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის ქართულ აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში.

საერთაშორისო სტუდენტური ინტერდისციპლინარული ვორქშოფი „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“
(ფლორენცია, 4-11 ოქტომბერი, 2015)

2015 წლის 4-11 ოქტომბერს, აფხაზეთის მთავრობასა და რომუალდო დელ ბიანკოს ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, იტალიის ქალაქ ფლორენციაში, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1. “კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“.

2. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საელჩო რომში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის ფონდი, დელ ბიანკოს ფონდი, აფხაზეთის მთავრობა.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ:

აფხაზეთის მთავრობის და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, სხვადასხვა სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორები, როგორც საქართველოდან ასევე სხვა ქვეყნებიდან.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერკულტურული ვორქშოფი, სახელწოდებით „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“ რომელსაც ქართული მხარე ხელმძღვანელობდა. ინტერკულტურულ ვორქშოფში ჩართული იყვნენ აფხაზი და ქართველი სტუდენტები. ინტერკულტურულ ვორქშოფში ჩაერთო ასევე იტალიური ორგანიზაცია „რონდინე“, რომელიც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებით იყო წარმოდგენილი. მათ შორის სამხრეთ კავკასიელი სტუდენტებით. 6 დღის განმავლობაში თემატური სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა პალაცო კოპინის დარბაზში, რომელიც მსოფლიო დონის შეხვედრების მასპინძელია.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა, ვინაიდან შერეულ ჯგუფებში მათ იმუშავეს თემაზე „რა გვაერთიანებს და რა გვაშორებს“. ორივე მხრიდან ურთიერთობები იყო პოზიტიური, ახალგაზრდები შეთანხმდნენ სამომავლო გეგმებზე, წარმოადგინეს ახალი ხედვები ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით, რომელიც ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებს.

სათაურით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-აფხაზეთი“ გაიმართა გამოფენა. რომელშიც თავი მოიყარა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებმა. რომელმაც დიდი გამოხმაურება მოიპოვა, კერძოდ იტალიის მედია საშუალებებმა მთელი კვირა დაუთმეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოფენის და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები, სამუშაო შეხვედრების გაშუქებას. ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები ერთმანეთის გვერდიგვერდ მასპინძლობდნენ გამოფენას. პარალელურად გამოფენისა მოეწყო ქართულ-აფხაზური სამზარეულოს პრეზენტაცია. გამოფენა 5 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა ფლორენციის ალ დუომოს საგამოფენო დარბაზში.

გამოფენა ასობით ადამიანმა დაათვალიერა. გამოფენის პარალელურად დამთვალიერებლებს დაურიგდათ საინფორმაციო მასალები და წიგნები საქართველოს შესახებ. გამოფენის შემადგენელი ნაწილი იყო ქართული კალიგრაფიის ნიმუშების პოპულარიზაცია, ქართველი

კალიგრაფის, აფხაზეთიდან დევნილის, ლეილა ბაღაიას ნამუშევრების მიხედვით. შესაბამისად დამთვალეიერებლებს გაურიგდათ მასალები ქართული კალიგრაფიის ისტორიის შესახებ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოფენის დღეებში აქტიურად ჩაერთო ფლორენციის წმინდა ნინოს სამრევლო და ქართული დიასპორა. რომლის წევრები საქართველოს დელეგაციის წევრებთან ერთად დამთვალეიერებლებს მოუთხრობდნენ საქართველოს შესახებ.

ვიზიტის შემადგენელი ნაწილი იყო შეხვედრები ევროპისა და ფლორენციის უნივერსიტეტებში.

პროექტის მონაწილეთათვის ევროპის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორებისა და ექსპერტების მიერ ჩატარდა ლექციები, რომლის თემატიკა ძირითადად იყო, ინტერკულტურული დიალოგი, კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული ბიოგრაფიები და ევროპული ასპექტები. ყოველი შეხვედრა მიმდინარეობდა ახალგაზრდების დიდი ჩართულობით. ერთმანეთის გვერდით ისხდნენ და გამოსვლებში მონაწილეობდნენ ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები.

აღნიშნული ვიზიტი და პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც მან ხელი შეუწყო:

- საქართველოს აქტიურ ჩართულობას ინტერკულტურულ დიალოგში
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას
- საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას აფხაზეთის პრობლემატიკისადმი
- ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დამეგობრებას

- წლების წინ გამქრალი ურთიერთობების (ქართველებსა და აფხაზებს შორის) ახალ, ერთმანეთის მოსმენის, აზრთა გაზიარების, თანაგრძნობის, ურთიერთპატივისცემის, ნდობის აღდგენისა და შერიგების ფაზაში გადასვლას
- ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ურთიერთობის სამომავლო გეგმებზე მუშაობას
- სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობას

**„ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის სამშვიდობო განათლება
ნდობის აღდგენისთვის“
(24 ნოემბერი, 2015)**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა 2015 წლის 24 ნოემბერს, სამშვიდობო ინიციატივათა

პროგრამის ფარგლებში (ქვეპროგრამა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის სამშვიდობო განათლება ნდობის აღდგენისთვის), განახორციელა ღონისძიება „საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი 2015“.

ფორუმის მიზანი იყო - ახალგაზრდობის ჩართულობის გაძლიერება საქართველოში, მათი შესაძლებლობების გამრავალფეროვნება, დევნილი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდა, სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა და ადგილებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან საჭიროებებზე ორიენტირებული თანამშრომლობა. ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ასევე, ახალგაზრდებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა, ადგილობრივი პრობლემების კვლევა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რეკომენდაციების შემუშავება, საკუთარი აზრის გამოხატვა, არგუმენტაცია.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო წინასწარი კრიტერიუმებით შერჩეულმა 100 ახალგაზრდამ საქართველოს მასშტაბით. მათ შორის დევნილმა ახალგაზრდებმა, ასევე, ეთნიკურმა აფხაზებმა და ოსებმა. ფორუმის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების ახალგაზრდებიც.

ფორუმის ფარგლებში თემატურმა ჯგუფებმა შეიმუშავეს საპროექტო კონცეფციები, რომლებიც წარედგინა გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და დონორებს.

ფორუმის ფარგლებში მუშაობდა შემდეგი თემატური ჯგუფები

- ახალგაზრდებს შორის მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობა
- ახალგაზრდების ჩართულობა საერთაშორისო პროგრამებში
- ადგილობრივ თემში დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ადამიანის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები
- ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარება
- ახალგაზრდების მედიასთან თანამშრომლობა, საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით
- ახალგაზრდები კანონის უზენაესობისათვის
- ახალგაზრდები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის
- რა გვაშორებს, რა გვაერთიანებს
- ახალგაზრდები სამშვიდობო პროცესებში

ფორუმის შემადგენელი ნაწილი იყო პრეზენტაციები, რომლითაც ქართველი და აფხაზი წარმატებული ახალგაზრდები წარსდგნენ ფლორენციაში (იტალია) საერთაშორისო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“ ფარგლებში.

პრეზენტაციის თემატიკა:

1. „გაზიარებული ისტორია და მისი გავლენა რეგიონის აწმყოსა და მომავალზე“
2. „დემოკრატიული ტრანსფორმაცია და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში“
3. „სოციალური მედიის და ახალგაზრდების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში“
4. „საქართველოს ისტორიული და პოლიტიკური იმიჯი ევროპულ კონტექსტში“

საქართველოს ახალგაზრდული ფორუმის პარტნიორები:

1. საქართველოს საპატრიარქო
2. საქართველოს პარლამენტი
3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
4. საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტრო
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
6. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
7. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო
8. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი
9. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
11. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
12. იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარის, კახეთის მხარის წარმომადგენლობები
13. საქართველოს ომბუდსმენის აპარატი
14. ცხუმ/ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
15. არასამთავრობო ორგანიზაციები

ახალგაზრდულ ფორუმში მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

- სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა
- მოხალისეობის გამოცდილება
- გუნდური მუშაობის უნარი
- პროექტების წერის გამოცდილება
- ანალიტიკური აზროვნების უნარი
- დეტალებზე და შედეგებზე ორიენტირების უნარი
- კომუნიკაბელურობა
- ოპერატიულობა

**„ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ფესტივალი ნდობის
აღდგენისა და შერიგებისთვის“
(18 დეკემბერი, 2015)**

აფხაზეთის მთავრობამ, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა, ასოციაციამ „მშვიდობა და განათლება“, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში (ქვეპროგრამა „ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ფესტივალი ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“) მოაწყო მასტერკლასები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მიმართულების ექსპერტებმა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მასტერკლასების მიზანი:

- ახალგაზრდებს განუვითარდეთ სამშვიდობო ხედვები, უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან ინტეგრაციას, მათში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას
- ახალგაზრდების ჩართულობას ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში.
- ახალგაზრდებში სამშვიდობო ინიციატივათა ხელშეწყობა.
- ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში ინოვაციური მიდგომების შემუშავება.

პროგრამის პარტნიორები:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- ბერგჰოფის ფონდი
- კავკასიური სახლი
- კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი
- აფხაზეთის კულტურისა და სულიერების ცენტრი

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა

ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს მინისტრისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინფორმაციო მომსახურების გაწევას, მინისტრის ბრძანებების პროექტების მომზადებას, ბრძანებების რეგისტრაციასა და სისტემატიზაციას. დადგენილი წესის შესაბამისად, ნომენკლატურის ფარგლებში, მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა/მუშაკთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების, შვებულებისა და მივლინების შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადებას, მინისტრის აპარატში შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვას, სისტემატიზაციას, ადრესატებისა და შემსრულებლებისათვის დროულ მიწოდებას, საქმისწარმოების ორგანიზებას, რაც მოიცავს: დოკუმენტბრუნვის

ორგანიზაციას; დოკუმენტების საინფორმაციო-სამიეზო სისტემის შექმნას, დოკუმენტების შესრულების კონტროლს; საქმეთა ნომენკლატურის შედგენასა და საქმეთა ფორმირებას; დოკუმენტების მომზადებას არქივში გადასაცემად; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფას, მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა პირადი საქმეების აღრიცხვა-წარმოებას, ნამსახურობის მიხედვით საპენსიო საბუთების გაფორმებას, შრომითი ხელშეკრულებების მომზადებას, მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მოწმობების გაცემა და აღრიცხვას.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში:

1. შემოსულია 119 ოფიციალური წერილი
2. 131 ბრძანება
3. გასულია 226 ოფიციალური წერილი;